

“ეს იყო პროვოკაცია, რომელსაც აწყობდნენ სამოქალაქო მოძრაობის აქტივისტები” – კობიევი



ერგნეთში ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ჯგუფის 92-ე შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრაზე განსახილველ 11 საკითხს შორის არჩიდ ტატუნაშვილის მკვლელობის, ასევე ოკუპირებულ ახარგორში დავით ბაშარუდის გაურკვეველ ვითარებაში გარდაცვალების საქმეები იყო. ასევე საუბარი შეეხო საქართველოს მოქალაქეების უკანონო დაკავების ფაქტებსა და გადაადგილების შეზღუდვებთან დაკავშირებულ პრობლემებს.

შეხვედრაზე 15 მარტს ხურვარეთში განვითარებულ მოვლენებზეც ისაუბრეს.

„არის თქვენთან ასეთი აქტივისტი დავით ქაცარავა, რომელსაც შეუძლია თქვას, თითქოს, რუსული ჯარი იპყრობდა

ყველა ძალა “სამხრეთ ოსეთის” ტერიტორიაზე იყო და პროვოკაციამდე საქმე არ მისუდა. ეს იყო პროვოკაცია, რომელსაც აწყობდნენ სამოქალაქო მოძრაობის აქტივისტები, რომლებმაც

გადაწყვიტეს, რომ გაყრიდნენ ძაღებს, რომლებმაც თითქოს, დაიკავეს საქართვედოს ტერიტორია. ქართვედ პოდიციელებს რომ არ შეეჩერებინათ, ეს დასრუდებოდა ინციდენტით. დათესონ და მოხნან თავისი ტერიტორია“, – განაცხადა ერგნეთის შეხვედრის დასრულების შემდეგ დე-ფაქტო რეჟიმის წარმომადგენელმა ეგორ კორიევმა.

რაც შეეხება სოფედ ხურვადეთში გადაადგილების შეზღუდვას, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ინფორმაციით, ეს პრევენციუდ ხასიათს ატარებს და უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე არის მიღებული.